დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

სამსახიობო ხელოვნება

(დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)

ბაკალავრიატი

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
24.07.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი

27.07.2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 13

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 27

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 39

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 41

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 49

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი (საჯარო სამართლის იურიდიული პირი)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან თაყაიშვილი - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქავთარია, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Acting Art (Drama and Cinema Acting; Drama and Puppet Theatre Acting)
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამსახიობო ხელოვნების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 08.10.2019 №188
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	შემოქმედებითი ტური

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სამსახიობო ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო) ემსახურება მსახიობის აღზრდას და მიმართულია სტუდენტის ინტერპრეტაციის უნარის განვითარების, შემოქმედებითი ინდივიდუალობისა და დამოუკიდებელი მხატვრული ხედვის ჩამოყალიბებისკენ.

სტრუქტურირებული მრავალფეროვანი სასწავლო კურსების საფუძველზე სტუდენტს უნდა განუვითარდეს მსახიობის პროფესიისათვის აუცილებელი პრაქტიკულ-შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარები, გამოუმუშავდეს ინდივიდუალური ხედვა და მიდგომები და მოემზადოს მხატვრული სახის შესაქმნელად და მისი პრაქტიკული რეალიზაციისათვის. დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, *სამსახიობო ხელოვნების პროგრამა მოიცავს სავალდებულო - ძირითადი/საბაზო, დამხმარე და არჩევითი კურსებს, მათ შორის, ქორეოგრაფიას, ვოკალის ხელოვნებას, თეატრის ისტორიასა და სხვა დისციპლინებს.*

დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, სტუდენტების შემოქმედებითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სწავლებისა და სწავლის მეთოდების მრავალფეროვნება, რაც სტუდენტს აძლევს არა მხოლოდ ცოდნის მიღების, არამედ შემოქმედებითი ექსპერიმენტის, თვითგამოხატვის, ინტერპრეტაციისა და რეალურ სამუშაო პროცესთან დაახლოების შესაძლებლობას; პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მაღალკვალიფიციური პერსონალი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

დოკუმენტაციის განხილვა დისტანციურად მოხდა. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განხილვისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე შეათანხმეს შეხედულებები და ჩამოაყალიბეს დასკვნის სახით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

განსახილველად წარმოდგენილი იყო 3 სტანდარტი:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა (ნაწილობრივ).

	სტანდარტი	**შეფასება**
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	შესაბამისობაშია

4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	მეტწილად შესაბამისობაშია

მასალის შესწავლისა და ერთობლივი განხილვის შედეგად დადგინდა, რომ 1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, 2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** სტანდარტების კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4. სტანდარტის ერთ-ერთი კომპონენტი, 4.3. *აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება* მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, რის გამოც 4. სტანდარტთან შესაბამისობა შეფასდა, როგორც მეტწილი.

მუშაობის პროცესში, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან", ასევე, აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით განხილვისას გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელთა ცვლილების საჭიროება ექსპერტებმა რეკომენდაციის სახით ჩამოაყალიბეს. ასევე, გაცემულია გარკვეული რაოდენობის რჩევები, რომელთა შესრულება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამას.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, რადგან ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში არასწორადაა ჩამოყალიბებული კურსდამთავრებულისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია. იგი უნდა განისაზღვროს, როგორც **სამსახიობო ხელოვნების ბაკალავრი** (ან **სამსახიობო ხელოვნების ბაკალავრი** (დრამისა და კინოს მსახიობი, დრამისა და თოჯინების თეატრის მსახიობი);
2. რეკომენდირებულია, მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და საერთაშორისო ტენდენციებისა და საჭიროებების გათვალისწინება;
3. დოკუმენტაციის გაცნობისას გამოიკვეთა პერსონალის განვითარებაზე მიმართული აქტივობების სიმწირე. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, რეკომენდირებულია, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება როგორც ზოგადი მიმართულებით, ასევე საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას ტრენინგების, ვორქშოფების, მასტერკლასების სახით ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, რაც განსაზღვრულია დარგობრივი მახასიათებლით.

რჩევები

- ✓ სასურველია,კურიკულუმში შესაცვლელია შედეგების მესამე კომპონენტის დასახელება, რომელიც მოხსენიებულია, როგორც **ღირებულებები** (და არა **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**)
- ✓ სასურველია, პროგრამაში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, კერძოდ: სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა ფორმალიზებულ კვლევით აქტივობებში, როგორიცაა, მცირე კვლევითი პროექტები, სტუდენტური კონფერენციები, თემატური სემინარები;
- ✓ სასურველია, სტუდენტური შემოქმედებითი პროექტების ინიცირებისა და განხორციელების მხარდაჭერა (ფესტივალები, შიდა/გარე ჩვენებები, ვორკშოფები), რაც

ხელს შეუწყობს მომავალ მსახიობთა პროფესიულ ინტეგრაციას; ასევე, სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა;

- ✓ სასურველია, სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების უფრო აქტიური გამოყენება, განსაკუთრებით აუდიოვიზუალური და ციფრული მედიის მიმართულებით
- ✓ სასურველია, პრაქტიკული და შემოქმედებითი დავალებების შეფასებისას, გარკვეულ შემთხვევებში კრიტერიუმები შეიძლება საჭიროებდეს დამატებით დეტალიზაციასა და სტანდარტიზაციას, რათა კიდევ უფრო შემცირდეს შეფასების სუბიექტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობა++ და გაიზარდოს ერთგვაროვნება სხვადასხვა შემფასებელს შორის
- ✓ სასურველია, შეფასების პროცესში, სასურველია, თვითშეფასებისა და თანაჯგუფელთა შეფასების უფრო აქტიური გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა კრიტიკული აზროვნებისა და რეფლექსიის უნარის განვითარებას
- ✓ სასურველია, უნივერსიტეტის კორპორაციული ელექტრონული ფოსტით ისარგებლოს უმაღლესი სასწავლებლის ყველა თანამშრომელმა
- ✓ სასურველია, განახლდეს ლიტერატურის ჩამონათვალი მთელ რიგ სპეციალურ კურსებში, მაგალითად, მსახიობის ოსტატობა 1-7
- ✓ სასურველია, დაზუსტდეს ინფორმაცია თანამშრომელთა მონაცემების შესახებ, მათ შორის, ყველა თანამშრომლის CV-ის ფორმაში იყოს მითითებული აფილირება და აკადემიური თანამდებობა. ასევე, დაზუსტდეს აკადემიური პერსონალის CV-ის წარმოდგენილი რაოდენობა (ნაკლებია თვითშეფასების ანგარიშში მოცემულ რიცხვზე). სასურველია, ერთ-ერთ დოკუმენტში დაზუსტდეს სხვა CV-დან დუბლირებული ინფორმაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერეცნიებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

  - **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

- **თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.**

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[4]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ ინსტიტუციამ გამოგზავნა დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში; მემორანდუმი ბათუმის თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრთან; საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამ-თავრებულთა მონაცემები ბოლო 5 წლის მანძილზე, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ეს მოცემულობა და ასახა დასკვნის საბოლოო ვერსიაში, რის შედეგადაც შემდეგი 2 რეკომენდაცია მოიხსნა:

1) *აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მხოლოდ 1 ნიმუში, გაფორმებული ბათუმის დრამატულ თეატრთან. ექსპერტთა აზრით, საჭიროა მსგავსი ურთიერთობის ჩამოყალიბება და ხელშეკრულების დადება საგანმანათლებლო რეგიონში არსებულ პროგრამის შესაფერის არაერთ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, მათ შორის, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან, რაც შესაბამისობაში მოიყვანს მას დარგობრივ მახასიათებელთან;*

2) *საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში ასახული უნდა იყოს პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების და შეფასების მექანიზმების განსაზღვრის თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ჩაერთვება ყველა დაინტერესებული მხარე, რაც უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციით, როგორიცაა, პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დოკუმენტი; დაზუსტებული ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ და უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე მათი სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი; გამოკითხვის შედეგები.*

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	მეტწილად შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	აირჩიეთ შესაბამისი
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	აირჩიეთ შესაბამისი
2.4	სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	მეტწილად შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	აირჩიეთ შესაბამისი
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	აირჩიეთ შესაბამისი
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.2	გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები]
[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო]
[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე]
[შეფასების კრიტერიუმები]

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ „სამსახიობო ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან.

პროგრამა ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს; საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს დრამისა და კინოს სამსახიობო, აგრეთვე დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო მიმართულებებს, თავისი შინაარსით, სტრუქტურითა და სასწავლო კომპონენტებით მკაფიოდ არის ორიენტირებული სტუდენტთა პრაქტიკული, შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარების თანმიმდევრულ განვითარებაზე. ამის შესაბამისად, პროგრამის მიზნებიც უკავშირდება პროფესიისთვის აუცილებელი საბაზისო და დარგობრივი კომპეტენციების ფორმირებას, სტუდენტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის განვითარებას, მხატვრული სახის შექმნისათვის საჭირო უნარების გამომუშავებას, პროფესიულ გარემოში ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის შესაძლებლობების ჩამოყალიბებასა და მაღალი პროფესიული ეთიკის მქონე სპეციალისტის მომზადებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზნებთან შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებიც.

მიზნები რამდენიმე მსხვილი პუნქტის სახით არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია; პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები: პროგრამის მიზნებში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ სტუდენტს უნდა განუვითარდეს მსახიობის პროფესიისათვის აუცილებელი პრაქტიკულ-შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარები, გამოუმუშავდეს ინდივიდუალური ხედვა და მიდგომები და მოემზადოს მხატვრული სახის შესაქმნელად და მისი პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

მიზნებში ჩანს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

მიზნების შესახებ: *„პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც პრაქტიკულ-შემოქმედებითი, საშემსრულებლო (მსახიობის ოსტატობა, სასცენო მეტყველება, რიტმიკა, სასცენო მოძრაობა და სხვა), ასევე სახელოვნებო და ჰუმანიტარული მიმართულების თეორიული კურსები. პროგრამა უზრუნველყოფს დასაქმების ბაზრის, ქვეყნის, რეგიონისა და საზოგადოების მოთხოვნებზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. პროგრამის თითოეული კომპონენტი ემსახურება პროფესიონალი მსახიობის ჩამოყალიბებას, რაც სრულად შეესაბამება ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას“).* აღნიშნული კავშირი უნივერსიტეტის მისიასთან მართლაც ნათლადაა გამოხატული. უნდა ითქვას, რომ პროგრამაში არსებული 2 კონცენტრაცია უშუალოდ შეესაბამება რეგიონის საჭიროებებს, სადაც, სპეციალობის შესაბამისი ორგანიზაციები 1) ბათუმის დრამატული და 2) ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრები ფუნქციონირებს.

ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილია ურთერთთანამშრომლობის მემორანდუმები 1) ბათუმის დრამატულ და 2) ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრებთან (ეს უკანასკნელი გამოგზავნილ იქნა დასკვნის პროექტის პასუხად) და აღნიშნულია თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამის შესაფერის სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან.

პროგრამის მიზნები, როგორც აღინიშნა, შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. სხვადასხვა სასწავლო კურსის მიზნები კი უშუალოდ მომდინარეობს პროგრამის საერთო მიზნებიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სამსახიობო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში სწავლის შედეგები სამი კომპონენტის მიხედვით არის წარმოდგენილი (სულ 11), რაც რაოდენობრივად ასე ნაწილდება: 1) ცოდნა და გაცნობიერება - 3 შედეგი, 2) უნარი - 6 შედეგი, 3) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - 2 შედეგი (კურიკულუმის ამ ნაწილში შედეგების ბოლო კატეგორიის სახელწოდება ღირებულებებადაა მოხსენიებული, რაც გასასწორებელია).

კურიკულუმის რუკაში (სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა), შედეგები განთავსებულია ცხრილში, სადაც სასწავლო კურსების გასწვრივ მონიშნულია, 11-დან რომელ შედეგს/შედეგებს ფარავს და, ასევე, მითითებულია სამდონიანი შეფასების სისტემიდან რომელ ეტაპს - 1) გაცნობა; 2) გაღრმავება; 3) განმტკიცება - შეეფერება თითოეული დისციპლინა.

იმის დასტურად, რომ სწავლის შედეგები უშუალოდ ებმის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სადაც თითოეული მიზნის გასწვრივ მონიშნულია მისი შესაფერისი სასწავლო შედეგები. მაგალითად, მიზნის *„აღზარდოს შემოქმედებითად აქტიური ხელოვანი, რომელიც შეძლებს მუშაობას როგორც ინდივიდუალურად, ასევე შემოქმედებით კოლექტივში - თეატრში, გადასაღებ მოედანზე, სატელევიზიო დადგმებში, ნებისმიერ წარმოდგენასა და პერფორმანსში და სხვ.“,* გასწვრივ მონიშნულია შემდეგი შედეგები:
ს.შ.3 ავლენს მხატვრულ-ესთეტიკური და ჟანრობრივი თავისებურებების, სახვითი და მუსიკალური ხელოვნების, სხვადასხვა თეატრალური მეთოდოლოგიის, მსოფლიო კლასიკური თანამედროვე ლიტერატურისა და დრამატურგიული ნიმუშების, სცენაზე და გადასაღებ მოედანზე ქცევის კულტურის შესახებ ცოდნის დემონსტრირებას (ცოდნა და გაცნობიერება);
ს.შ.5 სცენური და ეკრანული სახის შესაქმნელად იყენებს დარგობრივ და მულტიდისციპლინარულ საგნების თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, სამსახიობო ოსტატობის, მეტყველების, ვოკალის, რიტმიკის, სასცენო მოძრაობის, პანტომიმის, ეტიკეტის, თოჯინების მართვის, კამერასთან მუშაობის უნარებს (უნარი);

ს.შ.6 ავლენს სცენასა და გადასაღებ მოედანზე, სამსახიობო პროფესიისათვის დამახასიათებელ ჩვევებსა და ვერბალურ- პლასტიკური ორგანული ქმედების, პარტნიორული ურთიერთობის საჯარო მარტოობის შეგრძნების უნარებს. ინარჩუნებს შემოქმედებითი მუშაობისათვის

შესაბამის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. მხატვრული სახის შექმნისას როლიდან გამომდინარე მოქმედებს პერსონაჟის მსოფლმხედველობის, ფსიქოფიზიკური არქეტიპის თვისებების შესაბამისად (უნარი);

ს.შ.8 ფლობს გუნდური თანამშრომლობისა და ურთიერთობის უნარს. ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას რეჟისორთან, დასთან, სადადგმო გადამღებ ჯგუფთან და მაყურებელთან (უნარი).

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება:

- დარგის სპეციფიკას;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერებს, რაც გამოიხატება საქმიანობის სფეროს ფართო ცოდნაში, სფეროსთვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენებაში, პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელებაში, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვასა და მასზე პასუხისმგებლობის აღებაში, საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელებაში;
- კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს, რაც კურსდამთავრებულს შემდგომ საფეხურზე - სამსახიობო ხელოვნების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სწავლის საშუალებას მისცემს.

შედეგების მიღწევას ემსახურება, ასევე, პროგრამის სტრუქტურაში კომპონენტების ლოგიკური თანმიმდევრობა.
პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს როგორც დარგობრივი ცოდნის დემონსტრირებას, ასევე სცენური და ეკრანული სახის შექმნისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებას, მეტყველების, ვოკალის, რიტმიკის, სასცენო მოძრაობის, პანტომიმის, ეტიკეტის, თოჯინების მართვისა და კამერასთან მუშაობის უნარების ფლობას, გუნდური თანამშრომლობის, ეფექტური კომუნიკაციის, ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და პრეზენტაციის უნარებს, აგრეთვე პროფესიულ პასუხისმგებლობასა და თვითგანვითარების უნარს.

უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტაციის გაცნობისას არსად ჩანს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. საჭიროა ამ მიმართულების გაძლიერება და შესაბამისად, საერთაშორისო ტენდენციებისა და საჭიროებების გათვალისწინება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სამსახიობო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები

რეკომენდირებულია, მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციებისა და საჭიროებების გათვალისწინება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია კურიკულუმში შესაცვლელია შედეგების მესამე კომპონენტის დასახელება, რომელიც მოხსენიებულია, როგორც **ღირებულებები** (და არა **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სწავლის სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს (პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები), რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა, რაც კარგად არის წარმოჩენილი ქვემოტ მოცემულ ცხრილში:

სამიზნე ნიშნულები

პროგრამის პირდაპირი/არაპირდაპირი შეფასება

პროგრამის სწავლის შედეგები	სასწავლო კურსი	შეფასების მეთოდი	სამიზნე ნიშნულები	მონაცემთა შეგროვების დრო	პასუხისმგებელი პირი
სწ.შედ.1	მსახიობის ოსტატობა7	პირდაპირი	სტუდენტების 70-80% მიიღებს დასკვნითი გამოცდის 40 ქულიდან 36-38 ქულას	VII	ჯგუფის ხელმძღვანელი
სწ.შედ. 2					
სწ.შედ. 3		არაპირდაპირი			
სწ.შედ. 4					
სწ.შედ. 5					
სწ.შედ. 6			სტუდენტების 70-80% აღნიშნავს, რომ მიაღწია მოცემულ შედეგს		
სწ.შედ. 7	სასცენო მეტყველება 7	პირდაპირი			პროფესორი თამილა მეიშვილი
სწ.შედ. 8		არაპირდაპირი	სტუდენტების 70-80% მიიღებს დასკვნითი გამოცდის 40 ქულიდან 36-38 ქულას სტუდენტების 70-80% აღნიშნავს, რომ მიაღწია მოცემულ შედეგს		
სწ.შედ. 9	საბაკალავრო ნაშრომი	პირდაპირი	სტუდენტების 70-80% მიიღებს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების100 ქულიდან 85-95 ქულას დამსაქმებელთა 90% აღნიშნავს, რომ კურსდამთავრებულთა 70-80% გააჩნია	დასაქმების პირველი წელი	ჯგუფის ხელმძღვანელი
სწ.შედ. 10					
სწ.შედ. 11		არაპირდაპირი			

			სწავლის შედეგით განსაზღვრული კომპეტენცია		

სწავლის შედეგების მცირე ნაწილი არის მონიშნული, როგორც განმტკიცება ეს არის ფინალური ეტაპი, სადაც სტუდენტი ავლენს მაღალი დონის კომპეტენციას და ხდება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რის შემდეგაც ფასდება პროგრამის შედეგები.
თვითშეფასების ანგარიშში ვხვდებით, ასევე, „შემფასებლის ცხრილს“, საიდანაც თითოეულ შედეგის გასწვრივ განთავსებულია ინფორმაცია: 1) ვინაა შედეგის შემფასებელი - საგნის ლექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის სამსახური; 2) რა არის სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებები - შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგები და მითითებულია სამიზნე ნიშნული ანუ მოლოდინი, თუ რა დონეზე მიაღწევენ სტუდენტები სწავლის თითოეულ შედეგს:

№	სწავლის შედეგები	შემფასებელი	სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებები
1	ახდენს სამსახიობო ხელოვნების არსის, მსახიობის პროფესიის დარგობრივი კომპეტენციების (დრამა, კინო, თოჯინები) სამსახიობო ოსტატობის, საბაზისო უნარების, ცოდნისა და ელემენტების დემონსტრირებას.	საგნის ლექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის სამსახური	შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგები სამიზნე ნიშნული 61-82 ქულა
2	ახდენს სცენური თუ ეკრანული პერსონაჟის შექმნისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დემონსტრირებას, რეჟისორთან მუშაობისა და პარტნიორული ურთიერთობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით.	საგნის ლექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის სამსახური	შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგები სამიზნე ნიშნული 71-82 ქულა

ასევე, აღსანიშნავია ზემოთ აღწერილი 2 დოკუმენტი, როგორიცაა 1) სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, 2) სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (კურიკულუმის რუკა), სადაც ნათლად არის წარმოჩენილი შესაბამისობა მიზნებსა და შედეგებს, სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის და რაც, ასევე, შეფასების ინსტრუმენტებს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციამ დამატებით წარმოადგინა 2025 წელს ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის *სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში,* საიდანაც ირკვევა, რომ „ბხსუ-ს ყველა პროგრამა ექვემდებარება გარე ექსპერტიზას, კოლეგიალურ შეფასებას, ასევე დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვას, რომლის ანალიზის შედეგები განიხილება პროგრამის განვითარებისათვის... შემადგენლობაში შედიან აკადემიური პირები, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები, გარე შეფასების შედეგებით მიღებული რეკომენდაციების, წინადადებების, სურვილების გთავალისწინებით ახდენს პროგრამის მოდიფიცირებას, პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების მიზნების, შინაარსისა და შედეგების, კრედიტების, მეთოდოლოგიის და სხვ. კომპონენტების დაზუსტებას, განსაზღვრავს ან ახალი სასწავლო კურსების შემუშავების, მატერიალური რესურსების განვითარებისა და სრულყოფის აუცილებლობას.“

უსდ-ის მიერ, ასევე, წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ და უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე მათი სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი.

დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, 1.3. სტანდარტისთვის განკუთვნილი რეკომენდაცია მოიხსნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

[რეკომენდაციები]

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„სამსახიობო ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერებსა და დარგობრივ მახასიათებელს. პროგრამა, რომელიც აერთიანებს ა) დრამისა და კინოს სამსახიობო, აგრეთვე, ბ) დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო მიმართულებებს, თავისი შინაარსით, სტრუქტურითა და სასწავლო კომპონენტებით მკაფიოდ არის ორიენტირებული სტუდენტთა პრაქტიკული, შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარების თანმიმდევრულ განვითარებაზე.

ამასთანავე, საგანმანათლებლო პროგრამა საჭიროებს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას. დასაზუსტებელია უსდ-ის მიერ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რომელიც უნდა განისაზღვროს, როგორც **სამსახიობო ხელოვნება**.

საგანმანათლებლო პროგრამა 8-სემესტრს მოიცავს; 1 სემესტრი 15 სასწავლო და 4 სასესიო კვირას გრძელდება.
240 ECTS-იანი პროგრამა აერთიანებს სპეციალობის საერთო კურსებს, სპეციალობის ძირითად კურსებს, საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებს, არჩევით ბლოკებს, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს.
პროგრამაში სასწავლო კურსების გადანაწილება ექვემდებარება შინაარსობრივ თანმიმდევრობას და შედგენილია წინაპირობების (არსებობის შემთხვევაში) დაცვით, რაც იძლევა დასახული კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის შინაარსი და შედეგები ერთმანეთთან თანხვედრაშია.
პროგრამა მოიცავს:

- ✓ სპეციალობის საერთო კურსები - 110 ECTS კრედიტი,
- ✓ დრამისა და კინოს/დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო - ძირითადი კურსები 97 ECTS კრედიტი,
- ✓ საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 13 ECTS კრედიტი,
- ✓ არჩევითი ბლოკები/კურსები - 20 ECTS კრედიტი.

ასეთი მოცულობრივი განაწილება ცხადყოფს, რომ პროგრამაში დომინანტურია პროფესიული კომპეტენციების ფორმირებაზე მიმართული პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი არ არის წარმოდგენილი ცალკეული იზოლირებული კურსებით; პირიქით, პრაქტიკულობა გამჭოლად გასდევს მთელ კურიკულუმს და ფორმირდება როგორც პროფესიული ქცევის, ისე შემოქმედებითი თვითგამოხატვისა და სცენური/ეკრანული მოქმედების უნარები.
სწავლის შედეგების რუკაც ცხადყოფს, რომ პრაქტიკული და საშემსრულებლო შედეგები მიიღწევა არა ერთჯერადად, არამედ სხვადასხვა კურსის თანმიმდევრული გავლით.

მაგალითად, მსახიობის ოსტატობისა და სასცენო მეტყველების ციკლი ეტაპობრივად ემსახურება როგორც პროფესიული ცოდნის გაღრმავებას, ისე სცენური მოქმედების, პარტნიორული ურთიერთობის, მხატვრული სახის შექმნის, ინდივიდუალური ინტერპრეტაციისა და საჯარო წარმოდგენის უნარების ფორმირებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ისიც, რომ პროგრამა მოიცავს არა მხოლოდ თეატრისთვის აუცილებელ ტრადიციულ დისციპლინებს, არამედ კინოსა და აუდიოვიზუალური სივრცისთვის საჭირო უნარებსაც, როგორიცაა მსახიობის კამერასთან მუშაობის სპეციფიკა და გახმოვანების ოსტატობა. თოჯინების თეატრის კონცენტრაციაში დამატებული სპეციფიკური კომპონენტები ასევე ადასტურებს, რომ პროგრამა ითვალისწინებს თითოეული მიმართულების პროფესიულ თავისებურებებს და მათი შესატყვისი პრაქტიკული უნარების განვითარებას უზრუნველყოფს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ერთიანია, როგორც ზემოთ ითქვა, მასში ორი კონცენტრაცია გამოიყოფა. ორივე კონცენტრაციის სპეციფიკა, პირველ რიგში, პრაქტიკულ-შემოქმედებით და საშემსრულებლო მიმართულებას წარმოადგენს, და იგი, ასევე, გარკვეულწილად უზრუნველყოფს სამეცნიერო-თეორიული ელემენტების დასახვას იმ ფორმატით, რაც რელევანტურია ბაკალავრიატის საფეხურის სამსახიობო პროგრამისთვის.

პროგრამის სტრუქტურა და კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა აგებული და განსაზღვრული შედეგების მიღწევას ემსახურება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და კონცენტრაციები ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა დასაქმების რეალურ შესაძლებლობებსა და რეგიონის საჭიროებებს. სწავლის სფეროების კლასიფიკატორში, დეტალური სფერო **სამსახიობო ხელოვნება** 0215.1.5 რამდენიმე სპეციალობას მოიცავს:

- დრამისა და კინოს მსახიობი,
- მუსიკალური თეატრის მსახიობი,
- პანტომიმის თეატრის მსახიობი,
- თოჯინების თეატრის მსახიობი.

ამ ჩამონათვალიდან ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის *სამსახიობო ხელოვნება* ქუდქვეშ არსებული ორი კონცენტრაცია გვხვდება: 1) დრამისა და კინოს მსახიობი, 2) თოჯინების თეატრის მსახიობი, რაც შეესაბამება რეგიონში არსებულ საჭიროებებსა და კარიერული განვითარების პირობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- საგანმანათლებლო პროგრამა საჭიროებს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას. დასაზუსტებელია უსდ-ის მიერ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რომელიც რეკომენდირებულია განისაზღვროს, როგორც **სამსახიობო ხელოვნება**.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან.

პროგრამის სპეციფიკა განსაზღვრავს პრაქტიკული და საშემსრულებლო კომპეტენციების წინ წამოწევას. სპეციალობის ძირითადი კურსები საგანმანათლებლო პროგრამის ორივე კონცენტრაციაში აგებულია პროფესიული ზრდის ეტაპობრივი ლოგიკით: „მსახიობის ოსტატობა 1-7“, „სასცენო მეტყველება 1-7“, ასევე, წარმოდგენილია ისეთი პრაქტიკული კურსები, როგორიცაა ვოკალი, რიტმიკა, სასცენო მოძრაობა, ეტიკეტი, ფარიკაობა, პანტომიმა, კლასიკური, სახასიათო, სამეჯლისო და ქართული ცეკვა, გახმოვანების ოსტატობა, მსახიობის კამერასთან მუშაობის სპეციფიკა, ხოლო თოჯინების თეატრის მიმართულებით - თოჯინების ტექნიკა და ტექნოლოგია.

სასწავლო კურსების ასეთი კომპოზიცია და წინაპირობებით აგებული სტრუქტურა უზრუნველყოფს უნარების თანმიმდევრულ განვითარებას: სტუდენტი თავდაპირველად ეუფლება პროფესიის საბაზისო ტექნიკებს, შემდგომ ეტაპებზე აღრმავებს მათ და ბოლოს ინტეგრირებულად იყენებს შემოქმედებით და საშემსრულებლო ამოცანებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაკალავრო ნაშრომს/სპექტაკლს (10 ECTS), რომელიც პროგრამაში ინტეგრაციული, შემაჯამებელი კომპონენტის ფუნქციას ასრულებს და ორ კონცენტრაციაში, მათი სპეციფიკიდან გამოდინარე, სხვადასხვა სილაბუსითაა წარმოდგენილი. სწავლის შედეგების შეფასების ცხრილში საბაკალავრო ნაშრომი დაკავშირებულია პრაქტიკულად ყველა შედეგთან და, შეიძლება შეფასდეს, როგორც თეორიულ-ანალიტიკური და შემოქმედებითი კომპეტენციების ინტეგრირებული დემონსტრირების ინსტრუმენტი.

240 ECTS-იანი საგანმანათლებლო პროგრამაში ***სამსახიობო ხელოვნება*** უსდ-ის მიერ 2 კონცენტრაციით არის წარმოდგენილი:
1) *დრამისა და კინოს სამსახიობო,*
2) *დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო,*
რაც სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული დეტალური სფეროს მიხედვითაა განსაზღვრული: ***სამსახიობო ხელოვნება*** *(დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი).*

პროგრამას, 2 სპეციალური კონცენტრაციის გათვალისწინებით, შემდეგი სტრუქტურა აქვს:

1. **სპეციალობის ძირითადი** კურსები 97 ECTS კრედიტი, სტუდენტის არჩევანის მიხედვით:
   - ✓ დრამისა და კინოს სამსახიობო
     ან
   - ✓ დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო
2. **სპეციალობის საერთო** კურსები - 110 ECTS კრედიტი,
3. **საუნივერსიტეტო სავალდებულო** კურსები - 13 ECTS კრედიტი,
4. **არჩევითი ბლოკები**/კურსები - 20 ECTS კრედიტი.

სტუდენტის არჩევანის შესაბამისად, 2 კონცენტრაცია ცალ-ცალკე წარიმართება.

სპეციალობის კურსების ჩამონათვალი წარმოაჩენს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ კომპეტენციებს და შთაბეჭდილებას ქმნის, რამდენად ფართე განათლებას იღებს სტუდენტი

მუსიკის ისტორიისა და თეორიის ზოგადი კურსი
საზღვარგარეთის თეატრის ისტორია (ანტიკური-შუა საუკუნეები)
საზღვარგარეთის თეატრის ისტორია (რენესანსი -კლასიციზმი)
საზღვარგარეთის თეატრის ისტორია (აღმოსავლეთის თეატრი)

საზღვარგარეთის თეატრის ისტორია განმანათლებლობის ეპოქა - თანამედროვე თეატრი)
შემოქმედების ფსიქოლოგია
საზღვარგარეთის ლიტერატურა 1
საზღვარგარეთის ლიტერატურა 2
ქართული თეატრის ისტორია 1
ქართული თეატრის ისტორია 2
შესავალი სახვითი ხელოვნების ისტორიაში
საზღვარგარეთის კინოს ისტორია
ქართული კინოს ისტორია
შესავალი დრამის თეორიაში
ვოკალი 1
ვოკალი 2
რიტმიკა 1
რიტმიკა 2
სასცენო მოძრაობა 1
სასცენო მოძრაობა 2
სასცენო მოძრაობა (ეტიკეტი) 1
სასცენო მოძრაობა (ეტიკეტი) 2
სასცენო მოძრაობა (ფარიკაობა)
პანტომიმა
ცეკვა (კლასიკური) 1
ცეკვა (კლასიკური)2
ცეკვა (სახასიათო)1
ცეკვა (სახასიათო)2
ცეკვა (სამეჯლისო)
ცეკვა (ქართული)
გრიმი

პრაქტიკა
საბაკალავრო ნაშრომი

პროგრამაში შემოქმედებით-პრაქტიკულთან ერთად, თეორიული კომპონენტიც რეალიზდება. პირველ რიგში, პროგრამაში შემავალი თეორიული და ჰუმანიტარული კურსები - საზღვარგარეთის თეატრის ისტორია, ქართული თეატრის ისტორია, კინოს ისტორია, შესავალი დრამის თეორიაში, შემოქმედების ფსიქოლოგია, საზღვარგარეთის ლიტერატურა, სახვითი ხელოვნების ისტორია, მუსიკის ისტორია და თეორია მრავალმხრივ განათლებას აძლევს მომავალ მსახიობს. აღნიშნული კურსები სტუდენტს უყალიბებს დარგობრივი და ინტერდისციპლინური ცოდნის ბაზას. აღსანიშნავია, ასევე, რომ პროგრამაში ჩართულია აკადემიური წერის სასწავლო კურსი, რომელიც, აკადემიური ტექსტის სტრუქტურირების, ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების უნარების განვითარების გზით, სპეციალობის ბლოკთან ერთად, საფუძველს უქმნის სტუდენტს შემდგომ განვითარებასთვის და ამზადებს მას მე-7 საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსები გაწერილია ერთი ფორმატით, სადაც დადგენილი წესები დაცულია: მითითებულია აუცილებელი კომპონენტი. მაგალითად,

სასცენო მეტყველება 1

მითითებულია: 1 სემესტრი; 4 კრედიტი–100 სთ; საკონტაქტო-60 სთ; დამოუკიდებელი-40 სთ. ლექცია - 2 სთ; ჯგუფში მუშაობა- 57 სთ; დასკვნითი გამოცდა -1 სთ.

დამოუკიდებელი: ჯგუფში მუშაობისთვის მომზადება - 30 სთ; დასკვნითი გამოცდისთვის მომზადება - 10 სთ.

მიზნებად წარმოდგენილია: *სტუდენტი შეისწავლის მეტყველების საარტიკულაციო აპარატის, სუთქვის სავარჯიშოების, ბგერათა წარმოთქმის, ხმოვან და თანხმოვან ბგერათა კომბინაციების ტექნიკის საწყის ელემენტებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რთულად წარმოსათქმელ თანხმოვან ბგერებს, ასევე სტუდენტი შეძლებს ერთდროულად სწორად სუნთქვას, მოძრაობასა და გამართული ბგერის წარმოთქმას.*

მეთოდები: ჯგუფში მუშაობა ვერბალური, ანუ ზეპირი ახსნის მეთოდი, ახსნა განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ევრისტიკული მეთოდი.

ამას მოსდევს სასწავლო კურსის შინაარსი, სადაც ლექციების მიხედვით გაწერილია თემატიკა, მაგალითად, *პრაქტიკული მეცადინეობა - 4 სთ. ქართულ თანხმოვანთა სისტემა: სონორი რ ბგერა და მისი სწორად წარმოთქმა; სავარჯიშოები რ ბგერის სწორად წარმოსათქმელად; უკვე დამუშავებული მეტყველების სავარჯიშოები.*

შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, ლიტერატურის ჩამონათვალი,

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება: ფლობს მეტყველების საარტიკულაციო აპარატის სავარჯიშოებს: ბგერებს წარმოთქვამს სწორად, იცის თანხმოვან და ხმოვან ბგერათა კომბინაციების ტექნიკის საწყის ელემენტები, შეუძლია სუნთქვის სწორად და შეუმჩნევლად აღება;

უნარი: ყოველდღიურ მეტყველებაში ავლენს საარტიკულაციო სავარჯიშოების შესწავლის პროცესში გამომუშავებული სამეტყველო ტექნიკის და უნარ ჩვევებს. ავლენს სცენაზე ვერბალურ- პლასტიკური ორგანული ქმედების უნარს.

ამასთან ერთად, სწავლის შედეგებში მკაფიოდ არის გაწერილი, რომ სტუდენტი კვალიფიციურად და არგუმენტირებულად მსჯელობს ლიტერატურულ პირველწყაროებზე, თეატრალურ და კინოხელოვნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; მოძიებული ინფორმაციის სისტემატიზაციისა და ანალიზის საფუძველზე განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ქმნის ნაშრომს/პროექტს და ახდენს მის პრეზენტაციას. ეს მიუთითებს, რომ პროგრამა მიმართულია მსახიობის ჰოლისტურ განვითარებაზე და სამსახიობო ოსტატობასთან ერთად, აკადემიური მიმართულებითაც ავითარებს სტუდენტებს.

მთელ რიგ სპეციალურ კურსებში, მაგალითად, **მსახიობის ოსტატობა 1-7,** სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ჩამონათვალი განახლებას საჭიროებს. სასურველია, რომ განახლდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

სასურველია, განახლდეს ლიტერატურის ჩამონათვალი მთელ რიგ სპეციალურ კურსებში, მაგალითად, **მსახიობის ოსტატობა 1-7.**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა

შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ისინი გამჭვირვალე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
პროგრამა ხორციელდება ბაკალავრიატის საფეხურზე (მე-6 დონე) და მის კურსდამთავრებულს მიენიჭება „სამსახიობო ხელოვნების ბაკალავრის“ კვალიფიკაცია. ამის მიხედვითაა განსაზღვრული აპლიკანტთა შერჩევის მოთხოვნები. პროგრამაზე მიღება ხდება უნივერსიტეტისა და შესაბამისი ფაკულტეტის მიერ წინასწარ დამტკიცებული კონტინგენტის ფარგლებში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო კომპეტენციების, ისე დარგისთვის აუცილებელ შემოქმედებით უნარების შემოწმებას, რაც შეესაბამება დარგობრივი მაასიათებლის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. აბიტურიენტები ირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და შემოქმედებითი ტურის შედეგების საფუძველზე, რომელიც ეროვნულ გამოცდებამდე ტარდება. ხოლო ის პირები, რომლებიც კანონით თავისუფლდებიან ერთიანი ეროვნული გამოცდებისაგან, ჩააბარებენ მხოლოდ შემოქმედებით ტურს.

დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს შემოქმედებითი ტური, რომელიც მიზნად ისახავს აპლიკანტთა სამსახიობო მონაცემების კომპლექსურ შეფასებას და მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: ლექსის, პროზისა და იგავ-არაკის შესრულება, სცენური ეტიუდი, მეტყველების სისწორე, ხმის მონაცემები, ემოციური დამაჯერებლობა, პლასტიკა, იმპროვიზაციის უნარი და შემოქმედებითი ფანტაზია. თითოეული კრიტერიუმი ფასდება წინასწარ განსაზღვრული 100-ქულიანი სისტემით, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სტანდარტიზაციასა და ობიექტურობას. აღნიშნული მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს აპლიკანტის როგორც ვერბალური, ისე პლასტიკური და ფსიქო-ფიზიკური მონაცემების იდენტიფიცირებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურ კავშირშია პროგრამის მიზნებთან, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის განვითარებაზე, პრაქტიკული და საშემსრულებლო უნარების ჩამოყალიბებაზე და პროფესიულ რეალიზაციაზე თეატრისა და კინოს სფეროში.

ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის შესაბამისი, სამართლიანი და პროგრამის სპეციფიკასთან სრულად თავსებადი. დადებითად ფასდება ის გარემოება, რომ დაშვების სისტემა აერთიანებს როგორც აკადემიურ, ისე შემოქმედებით კომპონენტებს. ამით უზრუნველყოფილია პროგრამაში ისეთი კონტინგენტის შერჩევა, რომელიც გააჩნია დარგისთვის აუცილებელი საწყისი კომპეტენციები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემოქმედებითი ტურის სტრუქტურირებული და მრავალკრიტერიუმიანი შეფასების მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა კომპლექსურად შეფასდეს აბიტურიენტის არტისტული, მეტყველების, პლასტიკური და იმპროვიზაციული უნარები. შემოქმედებითი ტურის პრაქტიკა წლების მანძილზეა გამოცდილი და საშუალებას იძლევა, წინასწარ განისაზღვროს და შეფასდეს აპლიკანტის ის პრაქტიკულ-შემოქმედებითი შესაძლებლობები, რომლებიც განმსაზღვრელია საშემსრულებლო ხელოვნების პროგრამაზე სწავლებისათვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სრულად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებს: გამჭვირვალე და სამართლიანია და უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა ჩართვას, რაც საფუძველს შექმნის შემდგომში პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.batu.edu.ge

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

„სამსახიობო ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც აერთიანებს დრამისა და კინოს სამსახიობო, აგრეთვე დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო მიმართულებებს, თავისი შინაარსით, სტრუქტურითა და სასწავლო კომპონენტებით მკაფიოდ არის ორიენტირებული სტუდენტთა პრაქტიკული, შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარების თანმიმდევრულ განვითარებაზე. პროგრამის მიზნები პირდაპირ უკავშირდება პროფესიისთვის აუცილებელი საბაზისო და დარგობრივი კომპეტენციების ფორმირებას, სტუდენტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის განვითარებას, მხატვრული სახის შექმნისათვის საჭირო უნარების გამომუშავებას, პროფესიულ გარემოში ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის შესაძლებლობების ჩამოყალიბებასა და მაღალი პროფესიული ეთიკის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

აღნიშნულ ორიენტაციას ნათლად ასახავს პროგრამის სწავლის შედეგებიც. ისინი მოიცავს როგორც დარგობრივი ცოდნის დემონსტრირებას, ასევე სცენური და ეკრანული სახის შექმნისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებას, მეტყველების, ვოკალის, რიტმიკის, სასცენო მოძრაობის, პანტომიმის, ეტიკეტის, თოჯინების მართვისა და კამერასთან მუშაობის უნარების ფლობას, გუნდური თანამშრომლობის, ეფექტური კომუნიკაციის, ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და პრეზენტაციის უნარებს, აგრეთვე პროფესიულ პასუხისმგებლობასა და თვითგანვითარების უნარს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ისიც, რომ პროგრამა მოიცავს არა მხოლოდ თეატრისთვის აუცილებელ ტრადიციულ დისციპლინებს, არამედ კინოსა და აუდიოვიზუალური სივრცისთვის საჭირო უნარებსაც, როგორიცაა მსახიობის კამერასთან მუშაობის სპეციფიკა და გახმოვანების ოსტატობა. თოჯინების თეატრის კონცენტრაციაში დამატებული სპეციფიკური კომპონენტები ასევე ადასტურებს, რომ პროგრამა ითვალისწინებს თითოეული მიმართულების პროფესიულ თავისებურებებს და მათი შესატყვისი პრაქტიკული უნარების განვითარებას უზრუნველყოფს.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები მნიშვნელოვან ადგილს უთმობს სტუდენტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის, დამოუკიდებელი მხატვრული ხედვისა და ინტერპრეტაციული უნარის ჩამოყალიბებას. პროგრამის მიზნებში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ სტუდენტს უნდა განუვითარდეს მსახიობის პროფესიისათვის აუცილებელი პრაქტიკულ-შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარები, გამოუმუშავდეს ინდივიდუალური ხედვა და მიდგომები და მოემზადოს მხატვრული სახის შესაქმნელად და მისი პრაქტიკული რეალიზაციისათვის. შემოქმედებითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სწავლებისა და სწავლის მეთოდების მრავალფეროვნებაც. პროგრამა იყენებს ახსნა-განმარტებით, დემონსტრირების მეთოდებს, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებას, ვერბალური სწავლებას, სტუდიურ-ლაბორატორიულ, პრაქტიკულ, როლურ და სიტუაციურ თამაშებს, პროექტის შემუშავებასა და პრეზენტაციას, ჯგუფურ და ინდივიდუალურ მუშაობას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლას, ევრისტიკულ მეთოდს, შემთხვევის შესწავლას, დემონსტრირებას, დისკუსიასა და დებატებს. აღნიშნული მეთოდები განსაკუთრებით ადეკვატურია სამსახიობო განათლებისათვის, რადგან ისინი სტუდენტს აძლევს არა მხოლოდ ცოდნის მიღების, არამედ შემოქმედებითი ექსპერიმენტის, თვითგამოხატვის, ინტერპრეტაციისა და რეალურ სამუშაო პროცესთან დაახლოების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა თავისი ბუნებით, პირველ რიგში, პრაქტიკულ-შემოქმედებითი და საშემსრულებლო პროფილისაა, იგი ასევე უზრუნველყოფს სამეცნიერო/კვლევითი ელემენტების განვითარებას იმ მასშტაბითა და ფორმატით, რაც ბაკალავრიატის საფეხურის სამსახიობო პროგრამისთვის რელევანტურია.

კვლევითი კომპონენტი პროგრამაში რეალიზდება რამდენიმე მიმართულებით. პირველ რიგში, პროგრამა მოიცავს თეორიულ და ჰუმანიტარულ კურსებს, როგორიცაა საზღვარგარეთის თეატრის ისტორია, ქართული თეატრის ისტორია, კინოს ისტორია, შესავალი დრამის თეორიაში, შემოქმედების ფსიქოლოგია, საზღვარგარეთის ლიტერატურა, სახვითი ხელოვნების ისტორია, მუსიკის ისტორია და თეორია. აღნიშნული კურსები სტუდენტს უყალიბებს დარგობრივი და ინტერდისციპლინური ცოდნის ბაზას, რაც შემდგომ პრაქტიკულ და შემოქმედებით საქმიანობას ანალიტიკურ საფუძველს აძლევს.

აღსანიშნავია, ასევე, რომ პროგრამაში ჩართულია აკადემიური წერის სასწავლო კურსი, რომელიც ხელს უწყობს კვლევითი კულტურის ჩამოყალიბებას, აკადემიური ტექსტის სტრუქტურირების, ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავები უნარების განვითარებას.

ამასთან ერთად, სწავლის შედეგებში მკაფიოდ არის გაწერილი, რომ სტუდენტი კვალიფიციურად და არგუმენტირებულად მსჯელობს ლიტერატურულ პირველწყაროებზე, თეატრალურ და კინოხელოვნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; მოძიებული ინფორმაციის სისტემატიზაციისა და ანალიზის საფუძველზე განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ქმნის ნაშრომს/პროექტს და ახდენს მის პრეზენტაციას. ეს მიუთითებს, რომ პროგრამა მიმართულია მსახიობის ჰოლისტურ განვითარებაზე და სამსახიობო ოსტატობასთან ერთად, აკადემიური მიმართულებითაც ავითარებს სტუდენტებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაკალავრო ნაშრომს (10 ECTS), რომელიც პროგრამაში ინტეგრაციული, შემაჯამებელი კომპონენტის ფუნქციას ასრულებს. სწავლის შედეგების შეფასების ცხრილში საბაკალავრო ნაშრომი დაკავშირებულია პრაქტიკულად ყველა შედეგთან; ასევე პირდაპირ არის მითითებული ნაშრომის/პროექტის შექმნისა და პრეზენტაციის უნარის შეფასება. ამდენად, საბაკალავრო ნაშრომი შეიძლება შეფასდეს როგორც კვლევითი, ანალიტიკური და შემოქმედებითი კომპეტენციების ინტეგრირებული დემონსტრირების ინსტრუმენტი.

პროგრამის მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა ტრანსფერული უნარების ინტეგრირებული განვითარება. სწავლის შედეგები და სასწავლო მეთოდები აჩვენებს, რომ პროგრამა მიზანმიმართულად ავითარებს ისეთ ზოგად, სხვადასხვა პროფესიულ გარემოში გადასატან კომპეტენციებს, როგორიცაა: ეფექტური ზეპირი კომუნიკაცია; გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა; პარტნიორული ურთიერთობა; საჯარო წარმოდგენა და პრეზენტაცია; ინფორმაციის მოძიება, სისტემატიზაცია და ანალიზი; დროისა და სამუშაო პროცესის ორგანიზება; პროფესიული თვითშეფასება და სწავლის დაგეგმვა; თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება; პროფესიული ეთიკის დაცვა და პასუხისმგებლობა.

ეს მკაფიოდ იკითხება როგორც პროგრამის მიზნებში, ასევე სწავლის შედეგებში. მაგალითად, სტუდენტმა უნდა შეძლოს რეჟისორთან, დასთან, სადადგმო/გადამღებ ჯგუფთან და მაყურებელთან ეფექტური კომუნიკაცია; დამოუკიდებლად წარმართოს და შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი; განსაზღვროს სწავლის შემდგომი საჭიროებები; პასუხისმგებლობით მოეკიდოს პროფესიას და დაიცვას მხატვრულ-ესთეტიკური და შემოქმედებითი ეთიკის ნორმები.

ტრანსფერული უნარების განვითარებას ემსახურება სწავლებისა და სწავლის ფორმებიც: თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და დამოუკიდებელი მუშაობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს უნარები პროგრამაში არ განიხილება როგორც დამატებითი ან მეორადი კომპონენტი; ისინი ორგანულად არის ინტეგრირებული პროფესიულ პრაქტიკასთან, რაც პროგრამის გამოყენებით ღირებულებას ზრდის.

პროგრამა სათანადოდ და მიზანმიმართულად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც შეესაბამება როგორც პროგრამის მიზნებს, ისე სწავლის შედეგებს. პროგრამის ძლიერი მხარეა მისი პროფესიულ პრაქტიკაზე ორიენტირებული კურიკულუმი, სადაც დარგობრივი კომპეტენციები ყალიბდება ეტაპობრივად, თანმიმდევრულად და მრავალკომპონენტიანი სასწავლო გარემოს ფარგლებში.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა არ შემოიფარგლება მხოლოდ საშემსრულებლო კომპეტენციებით და სტუდენტს აძლევს თეორიულ-ანალიტიკურ ბაზას, რომელიც აუცილებელია პროფესიის გააზრებული, კულტურულად და ინტელექტუალურად გამართული განხორციელებისთვის.

ამასთან, კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებას უზრუნველყოფს ძირითადად თეორიული კურსების, აკადემიური წერის, საბაკალავრო ნაშრომისა და პროექტული მუშაობის მეშვეობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ნაკლებად იკვეთება სტუდენტთა მონაწილეობა ფორმალიზებულ კვლევით პროექტებში. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულების შემდგომი ინსტიტუციური გაძლიერება, მაგალითად, სტუდენტური კვლევითი ინიციატივების, მცირე პროექტების, პრეზენტაციების ან თემატური სემინარების ხელშეწყობის გზით, გაამდიდრებდა პროგრამას.

ბაკალავრიატის საფეხურისა და პროგრამის პრაქტიკული და შემოქმედებითი პროფილის გათვალისწინებით, არსებული მოდელი შესაბამისობაშია ძირითად მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.batu.edu.ge

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იქნება პროგრამაში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, კერძოდ: სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა ფორმალიზებულ კვლევით აქტივობებში, როგორიცაა, მცირე კვლევითი პროექტები, სტუდენტური კონფერენციები, თემატური სემინარები;
- სასურველია სტუდენტური შემოქმედებითი პროექტების ინიცირებისა და განხორციელების მხარდაჭერა (ფესტივალები, შიდა/გარე ჩვენებები, ვორკშოფები), რაც ხელს შეუწყობს მომავალ მსახიობთა პროფესიულ ინტეგრაციას; ასევე, სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- სასურველია სწავლების პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების უფრო აქტიური გამოყენება, განსაკუთრებით აუდიოვიზუალური და ციფრული მედიის მიმართულებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

„სამსახიობო ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის პრინციპების შესაბამისად, რაც გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას და პროფესიული უნარების პრაქტიკულ გარემოში განვითარებას. წარმოდგენილი დიკუმენტაციით დადგინდა, რომ სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს (ბაკალავრიატი), კურსების შინაარსს, დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში დომინირებს პრაქტიკულ-შემოქმედებითი და სტუდიურ-ლაბორატორიული მუშაობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამსახიობო ხელოვნების მიმართულებისთვის. სწავლება არ არის მხოლოდ თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებული; იგი ინტეგრირებულია პრაქტიკასთან და ეფუძნება სტუდენტის მიერ გამოცდილების მიღებას, ექსპერიმენტს და შემოქმედებით პროცესში უშუალო მონაწილეობას.
სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს:

- სტუდიურ და ლაბორატორიულ მუშაობას;
- პრაქტიკულ სავარჯიშოებს;
- როლურ და სიტუაციურ თამაშებს;
- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- პორტფოლიოს წარმოება; თანამშრომლობით სწავლება;
- პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას;
- ჯგუფურ და ინდივიდუალურ მუშაობას;
- პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლას;
- ევრისტიკულ მეთოდს;
- შემთხვევების ანალიზს;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსიასა და დებატებს;
- დამოუკიდებელ მუშაობას და სხვ.

აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას და ცოდნის რეალურ პროფესიულ გარემოში ტრანსფორმაციას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. მაგალითად, როლური და სიტუაციური თამაშები, სცენური ეტიუდები და სტუდიური მუშაობა უშუალოდ უკავშირდება მსახიობის პროფესიულ საქმიანობას და ქმნის იმიტირებულ, თუმცა რეალობასთან მაქსიმალურად დაახლოებულ სამუშაო გარემოს.
პროგრამა ასევე ითვალისწინებს ინდივიდუალური სწავლების ელემენტებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემოქმედებითი პროფილის სტუდენტებისთვის. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი ტემპითა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით განავითარონ პროფესიული უნარები, მიიღონ უკუკავშირი და გააუმჯობესონ საკუთარი შესრულება.
პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანი, თანამედროვე და სრულად შეესაბამება როგორც სწავლების საფეხურის, ისე დარგის სპეციფიკისა და პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის ძლიერი მხარეა სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა, რაც წარმოდგენილი მასალის მიხედვით, რეალურად ხორციელდება. ეს გამოიხატება სტუდენტთა აქტიურ ჩართულობაში, პრაქტიკულ მუშაობაში და ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებაში.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადებითად ფასდება სწავლების მეთოდების ადეკვატურობა სამსახიობო ხელოვნების სფეროს მიმართ - განსაკუთრებით აღსანიშნავია სტუდიურ-ლაბორატორიული მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - რაც ხელს უწყობს პროფესიული უნარების ეფექტიან ფორმირებას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს როგორც დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას, ასევე ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებას, როგორიცაა კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, პრობლემების გადაჭრა და კრიტიკული აზროვნება. სწავლება-სწავლის მეთოდები ლოგიკურ კავშირშია პროგრამის სტრუქტურასთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას სხვადასხვა სასწავლო კურსის ურთიერთგამდიდრების და ერთმანეთზე ეტაპობრივი გავლენის შედეგად.

საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები სრულად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს: არის სტუდენტზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი და დარგის სპეციფიკასთან ადეკვატური. აღნიშნული მეთოდები ეფექტურად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და, ასევე, ქმნიან ხელსაყრელ გარემოს სტუდენტთა პროფესიული, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევის კომპონენტი;
- სწავლის შედეგების რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის საიტი: www.batu.edu.ge

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

„სამსახიობო ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე, სამართლიანი და სანდო პროცედურების შესაბამისად, რომლებიც შეესაბამება მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტთა მიღწევების ობიექტურ და თანმიმდევრულ განსაზღვრას და სრულად არის შესაბამისობაში პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან.

შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემის საფუძველზე და მოიცავს როგორც შუალედურ, ისე დასკვნით კომპონენტებს. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად არის განსაზღვრული შეფასების ფორმები, კომპონენტების წონები და შეფასების კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების წინასწარ ინფორმირებულობას და შეფასების პროცესის პროგნოზირებადობას.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეფასების სისტემა ეფუძნება მრავალკომპონენტიან მიდგომას და მოიცავს როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული, შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარების შეფასებას. შეფასების ძირითადი ფორმებია:

- პრაქტიკული შესრულებები (სცენური ეტიუდები, როლური შესრულებები, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებები);
- მიმდინარე აქტივობები და სამუშაო პროცესში ჩართულობა;
- ზეპირი და წერითი დავალებები;
- პრეზენტაციები და პროექტები;
- შუალედური და საბოლოო გამოცდები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შეფასება ორიენტირებულია არა მხოლოდ საბოლოო შედეგზე, არამედ სწავლის პროცესზეც - სტუდენტის პროგრესზე, განვითარებასა და პროფესიული უნარების ეტაპობრივ ჩამოყალიბებაზე. ეს მიდგომა სრულად შეესაბამება სამსახიობო განათლების სპეციფიკას, სადაც მნიშვნელოვანი არის არა მხოლოდ შედეგი, არამედ შემოქმედებითი პროცესის დინამიკა.

პრაქტიკული და საშემსრულებლო კომპონენტების შეფასებისას გამოიყენება ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა:

- მხატვრული სახის შექმნის ხარისხი;
- სცენური გამოხატვის სიზუსტე და დამაჯერებლობა;
- მეტყველების კულტურა და ხმის ტექნიკა;
- მოძრაობისა და პლასტიკის კონტროლი;
- პარტნიორთან ურთიერთქმედება;
- იმპროვიზაციის უნარი და შემოქმედებითი მიდგომა.

აღნიშნული კრიტერიუმები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დარგობრივ ადეკვატურობას და სტუდენტის პროფესიული განვითარების მრავალმხრივ შეფასებას.

შეფასების სისტემაში გათვალისწინებულია უკუკავშირის მექანიზმებიც. სტუდენტები იღებენ როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელ შეფასებებსა და განმარტებებს, რაც მათ საშუალებას აძლევს გააანალიზონ საკუთარი მიღწევები და გააუმჯობესონ შედეგები. ასევე უზრუნველყოფილია შეფასების გასაჩივრების პროცედურები, რაც დამატებით ამყარებს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

პროგრამაში დანერგილი სტუდენტთა შეფასების სისტემა არის სისტემური, მრავალკომპონენტიანი და სრულად შესაბამისი როგორც დარგის სპეციფიკის, ისე აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებისა.

პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა შეფასების მრავალმხრივი ხასიათი, რაც გულისხმობს ცოდნის, პრაქტიკული უნარების, შემოქმედებითი პოტენციალისა და პროფესიული ქცევის ერთობლივ შეფასებას. შეფასების მეთოდები სწორად არის შერჩეული და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების სრულფასოვან შემოწმებას.

ექსპერტთა მიერ დადებითადაა შეფასებული:

- შეფასების სისტემის გამჭვირვალობა და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები;
- პრაქტიკული და საშემსრულებლო კომპონენტების მნიშვნელოვნად წარმოდგენა;
- პროცესზე ორიენტირებული შეფასება, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესს;
- უკუკავშირის მექანიზმების არსებობა;
- შეფასების მრავალფეროვანი ფორმები, რაც ამცირებს სუბიექტურობის რისკს.

ამასთან, შეფასების სისტემის ანალიზი აჩვენებს, რომ პრაქტიკული და შემოქმედებითი დავალებების შეფასებისას გარკვეულ შემთხვევებში კრიტერიუმები შეიძლება საჭიროებდეს დამატებით დეტალიზაციასა და სტანდარტიზაციას, რათა კიდევ უფრო შემცირდეს შეფასების სუბიექტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობა და გაიზარდოს ერთგვაროვნება სხვადასხვა შემფასებელს შორის.

სტუდენტთა შეფასების სისტემასთან კავშირში განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ეფექტიანობის მონიტორინგსა და სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის შეფასებას. აღნიშნული ნიშნულები ეფუძნება როგორც აკადემიურ მოსწრებას, ისე პრაქტიკული, შემოქმედებითი და საშემსრულებლო კომპეტენციების განვითარების მაჩვენებლებს.
პროგრამის სამიზნე ნიშნულებად განისაზღვრება:

- სტუდენტთა არანაკლებ **70–75%**-ის მიერ კურსების წარმატებით დასრულება;
- სტუდენტთა არანაკლებ **65–70%**-ის მიერ დადებითი შეფასებების (51 ქულაზე მეტი) მიღწევა თითოეულ სასწავლო კურსში;
- საბაკალავრო ნაშრომის წარმატებით დაცვა სტუდენტთა არანაკლებ **85–90%**-ის მიერ;
- პრაქტიკული და საშემსრულებლო კომპონენტებში საშუალო შედეგის შენარჩუნება არანაკლებ **C+ / B- (65–75 ქულა)** დიაპაზონში;
- სტუდენტთა არანაკლებ **65–70%**-ის მიერ პროგრამით განსაზღვრული ძირითადი სწავლის შედეგების მიღწევა.

აღნიშნული სამიზნე ნიშნულები ასახავს შეფასების სისტემის შესაძლებლობას, ადეკვატურად გაზომოს როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარები. მათი პერიოდული ანალიზი უზრუნველყოფს სტუდენტთა მიღწევების დინამიკის შეფასებას, სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების ეფექტიანობის განსაზღვრას და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის გაუმჯობესებას.
ამგვარად, სამიზნე ნიშნულები წარმოადგენს შეფასების სისტემის მნიშვნელოვან ანალიტიკურ ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს მისი სანდოობის, ობიექტურობისა და შედეგებზე ორიენტირებულობის განმტკიცებას.

შეფასების პროცესში ნაკლებად ჩნდება თვითშეფასება და თანაჯგუფელთა შეფასება. სასურველი იქნება ამ შესაძლებლობის უფრო აქტიური გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა კრიტიკული აზროვნებისა და პროფესიული რეფლექსიის განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- სწავლის შედეგების შეფასება;

- პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევის კომპონენტი;
- სწავლის შედეგების რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის
- პრაქტიკული და შემოქმედებითი დავალებების შეფასებისას გარკვეულ შემთხვევებში კრიტერიუმები შეიძლება საჭიროებდეს დამატებით დეტალიზაციასა და სტანდარტიზაციას, რათა კიდევ უფრო შემცირდეს შეფასების სუბიექტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობა და გაიზარდოს ერთგვაროვნება სხვადასხვა შემფასებელს შორის
- შეფასების პროცესში, სასურველია, თვითშეფასებისა და თანაჯგუფელთა შეფასების უფრო აქტიური გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა კრიტიკული აზროვნებისა და რეფლექსიის უნარის განვითარებას

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1 სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.2_____მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით

განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძელზე ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან. პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოცდილება და რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის და ასევე, მათზე დაკისრებული სამეცნიერო თუ შემოქმედებითი საქმიანობის სათანადოდ წარმართვას.

პროგრამის ხელმძღვანელია პროფესორი თამაზ ბოლქვაძე, აჭარის რეგიონში თეატრალური კოლექტივებში რეჟისორის, სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობებზე მუშაობის, მართვის, ასევე, მრავალწლიანი პედაგოგიური და შემოქმედებითი გამოცდილების მქონე პროფესიონალი, სხვადასხვა ადგილობრივი თუ უცხოური პროფესიული გაერთიანების წევრი, ამჟამად ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი და სასცენო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია სწავლების სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში - სახვითი,სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე მიჰყავს სასწავლო კურსი მსახიობის ოსტატობა 1-7.

თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ ბხსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი. ბხსუ-ში პირი, რომელსაც სურს დაიკავოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობა ვალდებულია წერილობით გამოხატოს თანხმობა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში მხოლოდ ბხსუ-სთან აფილირების შესახებ და აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში გააფორმოს აფილირების შეთანხმება. პროგრამაში ჩართული ყველა აკადემიური პირი აფილირებულია უნივერსიტეტთან.
აკადემიური პერსონალისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი აკადემიური დატვირთვა (მათ შორის საათობრივად ანაზღაურებადი) განისაზღვრება კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხისა და საკონკურსო განცხადებაში/ანკეტაში მითითებული სასწავლო კურსების მიხედვით.

ასევე, პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დარგის სპეციალისტის (I და II კატეგორიის სპეციალისტი) მოწვევა აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე. უნივერსიტეტს შეუძლია კონკურსის გარეშე საქართველოში აღიარებული დარგის სპეციალისტების მოწვევაც.

წარმოდგენილი საბუთების მიხედვით, ყველა პროგრამის განხორციელებაში ჩართული თანამშრომლების მონაცემები შეეფერება დაკავებულ თანამდებობებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[6]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**22**	**11**	**8**	**13**
- პროფესორი	4	4	2	4
- ასოცირებული პროფესორი	6	4	3	5
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი	2	2	1	2
მოწვეული პერსონალი	8	4		_
სამეცნიერო პერსონალი				
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი				

(იხილეთ რჩევა)

აღსანიშნავია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული CV-ის უნიფიცირებული ფორმა უსდ-ის თანამშრომელთა მონაცემებისთვის, რომელშიც სრულად აისახება პერსონალის შემოქმედებითი თუ სამეცნიერო აქტივობები.

სასურველია, უნივერსიტეტს ჰქონდეს კორპორაციული ელექტრონული ფოსტა, რომლითაც ისარგებლებენ უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- პერსონალის CV

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.batu.edu.ge

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, უნივერსიტეტის კორპორაციული ელექტრონული ფოსტით ისარგებლოს უმაღლესი სასწავლებლის ყველა თანამშრომელმა
- სასურველია, ზუსტად განისაზღვროს ინფორმაცია თანამშრომელთა მონაცემების შესახებ: ყველა თანამშრომლის CV-ის ფორმაში იყოს მითითებული აფილირება და აკადემიური თანამდებობა; აკადემიური პერსონალის CV-ის წარმოდგენილი რაოდენობა შეეფერებოდეს თვითშეფასების ანგარიშში მოცემულ რიცხვს; ასევე, ერთ-ერთ CV-ში გასწორდეს სხვა თანამშრომლის ბიოგრაფიიდან დუბლირებული ინფორმაცია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია]	აირჩიეთ შესაბამისი

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან გარკვეული შესაბამისობა შეიძლება დაფიქსირდეს უნივერსიტეტისა და პროგრამის მესვეურების მიერ პროგრამის შესაფერისი, კვალიფიციური პერსონალის შერჩევის ფონზე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უმთავრესი ნაწილი სფეროს მოქმედი წარმომადგენელია და, შესაბამისად, პროფესიონალია. ეს შეიძლება უსდ-ის პოზიციად იქნეს მიჩნეული, რის საფუძველზეც სტანდარტის აღნიშნული კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისად ჩაითვლება.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ უნივერსიტეტში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პერსონალის განახლება ან/და არსებული პერსონალის პროფესიული განვითარება არ მომხდარა. უსდ-ის მიერ არაგეგმიური მონიტორინგისთვის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არც სხვა განმავითარებელი აქტივობები გამოიკვეთა.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიციის მიხედვით, აუცილებელია პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება როგორც ზოგადი მიმართულებით, ასევე საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას ტრენინგების, ვორქშოფების, მასტერკლასების სახით ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- პერსონალის CV
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.batu.edu.ge

[რეკომენდაციები]

დოკუმენტაციის გაცნობისას გამოიკვეთა პერსონალის განვითარებაზე მიმართული აქტივობების სიმწირე. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აუცილებელია პერსონალის

განვითარებაზე ზრუნვა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება როგორც ზოგადი მიმართულებით, ასევე საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას ტრენინგების, ვორქშოფების, მასტერკლასების სახით ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4. მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	აირჩიეთ შესაბამისი

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[5.1. შიდა ხარისხის შეფასება]	აირჩიეთ შესაბამისი

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

რუსუდან თაყაიშვილი ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ნინო ქავთარია ხელმოწერა